უფლებები და თავისუფლებები
კავშირი

უსაფრთხო სკოლა

www.freedom.org.ge

საიტის მეშვეობით შეგიძლიათ იხილოთ წინამდებარე გამოცემა

მანდატური (ლათ. mandaturus), ადმინისტრაციული აპარატის დაბალი მოხელე ფეოდალურ საქართველოში. ტერმინი „მანდატური“ ქართულ ისტორიულ წყაროებში XI საუკუნიდან გვხვდება. ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით, „მანდატური სამასი სახლი არის ამიერ და იმიერ ... სამნი აზნაური არიან... და სხვაჲ ყველა გლეხია“. მანდატურები მანდატურთუხუცესს ექვემდებარებოდნენ. მათ ევალებოდათ სავაზირო შენობის დაცვა სხდომების დროს, საპატიო მგზავრის გაყოლა, სამეფო ზვრების სამუშაოთა ხელმძღვანელობა და სხვა. მანდატური თავის სამოხელო ნიშანს – არგანს ატარებდა. გვიანდელ ფეოდალურ პერიოდში მანდატურის მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინები ბოქაული და იასაული.

მანდატურთუხუცესი, ერთ-ერთი ვაზირთაგანი და მანდატურების უფროსი. მას ხელმწიფის კარზე წესრიგის დაცვა და სხვა ადმინისტრაციულ ფუნქციათა შესრულება ევალებოდა. მანდატურთუხუცესის საგანგებო სამოხელეო ნიშანი „სამანდატურო არგანი“ (ოქროს ჯოხი) იყო. იგი თავისი რანგითა და პატივით ამირსპასალარს უტოლდებოდა. იყო შემთხვევები მანდატურთუხუცესის და ამირსპასალარის სახელოების გაერთიანებისა.

ფეოდალურ საქართველოში სავაზიროში შემავალი ზოგიერთი უწყების ხელმძღვანელს საერთაშორისო თუ დიპლომატიურ ურთიერთობათა წარმართვა ევალებოდა და იგი თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ჰქონდათ განაწილებული. მანდატურთუხუცესი უცხო ქვეყნების ელჩების ჩამოსვლას, მიღება-დაცვასა და სხვა მსგავს საკითხებს ადევნებდა თვალყურს. ამ კუთხით იგი საგარეო საქმეთა გამგის მოვალეობასაც ასრულებდა. მისდამი დაქვემდებარების ზოგიერთ თანამდებობაშიც (ამირეჯიბი, მესტუმრე) მსგავსი ვალდებულებანი იყო ჩადებული. XVII საუკუნეში მანდატურთუხუცესის თანამდებობა ეშიკაღასბაშმა შეცვალა.

ამირსპასალარი (არაბ. სპარს. ამირ - უფროსი, სპარს. სეფაჰსალარ - სარდალი), გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ვეზირი, მთავარსარდალი. განაგებდა მუდმივ ჯარს, მეფის მონა-სპას, სახასო მამულებიდან და საფეოდალოებიდან გამოწვეულ ლაშქარს და სხვა ქვეყნებში დაქირავებულ რაზმებს. ომის დროს ჯარის უშუალო ხელმძღვანელი იყო მეფის შემდეგ, ებარა სახელმწიფო დროშა და წინ მიუძღოდა ლაშქარს. სავაზირო სხდომაზე სამხედრო საქმეთა განხილვისასაც მეფის შემდეგ პირველი სიტყვა მას ეკუთვნოდა. მეფედ კურთხევისას მას უნდა შემოერტყა მეფისთვის ხმალი. ამირსპასალარი ვეზირთა პირველ სამეულში შედიოდა ათაბაგსა და მანდატურთუხუცესთან ერთად. ზოგჯერ კი შეიძლებოდა ათაბაგის ან მანდატურთუხუცესის თანამდებობაც სჭეროდა. ჰყავდა პირადი მხლებელი. ამირსპასალარი პირველად გიორგი III-ის დროს წყაროებში იხსენიება (მანამდე ცნობილი იყო სპასალარი, რომელიც ადგილობრივ სამხედრო საქმეებს განაგებდა), მაგრამ ამ თანამდებობის არსებობა სავარაუდოა უკვე იმ დროიდან, როცა დავით აღმაშენებელმა სახელმწიფო წესწყობილებაში რეფორმები განახორციელა და მუდმივი ჯარი შექმნა. ამირსპასალარის სახელწოდების შემოღებამდე მთავარსარდალს სპასპეტი ეწოდებოდა, შემდეგ კი სპასპეტი აღნიშნავდა საერთოდ მხედართმთავარს. ამირსპასალარის უწყებაში შედიოდნენ ამილახორი, ზარდახნისუხუცესი და მათდამი დაქვემდებარებული მოხელეები. საქართველოს პოლიტიკური დაშლა-დანაწილების შედეგად ამირსპასალარის თანამდებობა მოისპო.

ბოქაული (თურქ. მონღ. ბუქავულ - მნე), ადმინისტრაციული აპარატის დაბალი მოხელე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. სახელწოდება "ბოქაული" საქართველოში XVI საუკუნიდან შემოვიდა. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინები მანდატური და იასაული. ბოქაულსა და იასაულს ხელჯოხიანები ეწოდებოდათ (არგნოსანი). ბოქაულს ევალებოდა სამეფო ხელისუფლების სხვადასხვა ხასიათის ბრძანებისა და განკარგულების შესრულება, განაჩენის აღსრულება, წესრიგის დაცვა და სხვა; მსგავს საქმიანობას ეწეოდა ბოქაულთუხუცესიც.

იასაული (თურქ. ბრძანების აღმსრულებელი), მმართველობითი და მართლმსაჯულებითი აპარატის დაბალი მოხელე გვიანდელფეოდალურ საქართველოში. მიეკუთვნებოდა ე.წ. ხელჯოხიანთა ჯგუფს. შეიცვალა გაერთიანებული საქართველოს დროინდელი მანდატური და არგნოსანი. საკუთრივ სააღმსრულებლო საქმის გარდა იასაულს გამოკვლევა-გამოძიების დავალებაც ეძლეოდა. მასვე განაწესებდნენ გამოსაღებთა ამკრეფ-გადამხდევინებლად და სამეფო სამეურნეო თუ სხვა სამუშაოთა ზედამდეგადაც. დასტურლამალით ცნობილია სამეფო იასაულების 2 დასი - ეშიკაღასბაშისა (23 კაცი) და ქარხნის ანუ საწყობის ნაზირის სახელოსი (17 კაცი); იასაულები სხვა სახელოებშიაც (სალაროში, დავთარხანაში) იყვნენ. არსებობდა სადედოფლო იასაულების დასიც (17 იასაული). თვითონ იასაულების გარდა იასაულობა, დაინტერესებული პირის თხოვნითვე, ზოგჯერ სხვა, უფრო გავლენიან მოხელესა თუ დიდ ფეოდალსაც ეკისრებოდა.

უსაფრთხო სკოლა

სკოლაში ბავშვი თავისი დროის უმეტეს ნაწილს ატარებს. სასწავლო დაწესებულება მისთვის სამაგალითო ადგილია.

ალბერტ ბანდურას „სოციალურ-კოგნიტური თეორიის“ თანახმად, ბავშვი ქცევას მოდელირების მეშვეობით სწავლობს - ანუ სხვისი ქცევის მიბაძვით. შესაბამისად, ხდება არამარტო პოზიტიური, არამედ ნეგატიური, სოციალურად არასასურველი ქცევების დასწავლა.

უსაფრთხოება არის ბავშვის სწავლის, აღზრდისა და განვითარების წინაპირობა, სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა უზრუნველყო სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნა, დისციპლინის განმტკიცება და ძალადობის ფაქტების აღმოფხვრა. ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება. უსაფრთხო სკოლა გულისხმობს ნებისმიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ბავშვი დაცულია და დამყარებულია დისციპლინა, რომლის გარეშეც ნორმალური სასწავლო პროცესის წარმართვა შეუძლებელი იქნება. მოზარდის განვითარებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევის შედეგი უნდა იყოს, თუმცა საქართველოში არასრულწლოვანთა დანაშაულის ბოლო წლების სტატისტიკა და მოზარდებში გახშირებული აგრესიის ფაქტები ამ პრობლემის სიმწვავეზე მიუთითებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2010-2011 წლების საგანმანათლებლო სისტემის სტრატეგიაში უმთავრეს პრიორიტეტებს შორის გამოყო - უსაფრთხო სკოლის კონცეფციის განვითარება და დანერგვა, რომელიც გულისხმობს სკოლებში ნოვაციური ინსტიტუტების შემოღებასა და ახლებური კონტროლის მექანიზმების დამკვიდრებას.

უსაფრთხო სკოლის კონცეფციის დანერგვა და განვითარება

- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ინსტიტუტის შექმნა;
- სკოლების სამ საფეხურად დაყოფის პროცესის დაწყება დიდ ქალაქებში;
- მოსწავლის საკრედიტო ბარათების შემოღება და ფულის აკრძალვა სკოლებში;

უსაფრთხო სკოლის კონცეფციის განვითარება და დანერგვა მოიცავს:

- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ინსტიტუტის შემოღებას;
- სკოლების დაყოფას სამი სასწავლო საფეხურის მიხედვით;
- ვიდეო თვალის მეშვეობით სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხო ზონების შექმნას;
- მოსწავლეებისთვის საკრედიტო საბარათე სისტემის შემოღებასა და მის მიბმას პორტალზე;
- მოსწავლეთა ცნობიერების ასამაღლებლად პროკურატურის, პოლიციისა და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლების მიერ ადამიანის უფლებებსა და სხვა სამართლებრივ საკითხებზე შეხვედრების ორგანიზებას;

1. მანდატურის ინსტიტუტის შემოღება - უსაფრთხო სკოლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, მანდატური არ არის პოლიციელი. მას სკოლაში კონფლიქტებისა და დანაშაულის პრევენცია, ბავშვებისთვის ყველა სახის დახმარების გაწევა ევალება. მისი ფუნქცია მოსწავლეების უსაფრთხოებაზე ზრუნვაა. კონკრეტულად მანდატურთა უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 483-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის უფლება-მოვალეობებია:

- საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა და გარე პერიმეტრების კონტროლი;
- საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი და გამოვლენილი სამართალდარღვევების აღკვეთა და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება (ცივი იარაღის ტარების, ნარკოტიკული საშუალებების შენახვა-მოხმარების, ჯანმრთელობის დაზიანების, თამბაქოს რეალიზაციის წესების დარღვევის, წვრილმანი ხულიგნობისა და სხვა ქმედების შესახებ, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და ხელს უშლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას);
- საგანმანათლებლო დაწესებულების სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დირექციის, მასწავლებლის, რეექტორის და აკადემიური პერსონალის თხოვნით, სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეებთან/სტუდენტებთან ურთიერთობა, მათთან ინდივიდუალური გასაუბრება, მათ ქცევაზე დაკვირვება და მათი კონტროლი;
- მოსწავლეებისთვის/სტუდენტებისათვის სამოქალაქო თავდაცვასთან, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან და სისხლის სამართლის დანაშაულებთან და მათ შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება;
- მოსწავლეთა/სტუდენტთა მშობლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილი პირის ინფორმირება სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა/სტუდენტთა ქცევის შესახებ;
- საგანგებო სიტუაციებში (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა) მოსწავლეთა/სტუდენტთა, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე და იქ მყოფი სხვა პირების დაცვა და მათი ევაკუაციისათვის ხელის შეწყობა;
- დაპირისპირებულ მოსწავლეებს/სტუდენტებს შორის მედიატორის როლის შესრულება, კონფლიქტური სიტუაციის გამოვლენა და კონფლიქტის მოგვარება;
- სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა/სტუდენტთა

მშობლებთან შეხვედრებში მონაწილეობა;
- საგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესის შესრულების კონტროლი;
- საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოვლენილი დარღვევების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის შედგენა და საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილი პირისათვის და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსისათვის წარდგენა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოვლენილი დარღვევების ელექტრონული საინფორმაციო ბაზის შექმნა;
- დისციპლინური გადაცდომის იარაღის, იმ საგნის, რომელსაც დისციპლინური გადაცდომის კვალი ატყვია, დისციპლინური გადაცდომით მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნის და დოკუმენტის, რომლებიც საჭიროა დისციპლინური გადაცდომის გარემოებათა გასარკვევად, აღმოჩენისა და ამოღების მიზნით პირადი გასინჯვის ჩატარება;
- საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში სპეციალური საშუალებების გამოყენება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური უფლებამოსილია სათათბირო ხმის უფლებით დაესწროს საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების სხდომებს და მათ წინაშე დააყენოს მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული საკითხები.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურს ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მსუბუქი ზომების გამოყენებით შეუძლებელია მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, კერძოდ:
- სამართალდარღვევის აღკვეთისას და სამართალდამრღვევის დაკავებისას;
- საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ პირზე თავდასხმის მოგერიებისას;
- სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს მისთვის წინააღმდეგობის გაწევისას;
- დაკავებულის პოლიციისათვის წარდგენისას, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ დაკავებული მიიმალება ან ზიანს მიაყენებს გარშემომყოფთ
.
საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური ვალდებულია ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების დროს:
- გააფრთხილოს პირი ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ, მისცეს მას საკმარისი დრო მისი მოთხოვნების შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაყოვნება საფრთხეს შეუქმნის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ან სხვა პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან გამოიწვევს სხვა მძიმე შედეგებს, ან როცა წინასწარ გაფრთხილება შეუძლებელია;
- ფიზიკური ძალა და სპეციალური საშუალებები გამოიყენოს საფრთხის ხასიათის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მიყენებული ზიანი მინიმალური იყოს;
- ნებისმიერ შემთხვევაში, ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენებიდან 24 საათის განმავლობაში, წერილობით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის მეშვეობით შეატყობინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;
- საფრთხე არ შეუქმნას გარშემომყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.
სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი და მას იცავს სახელმწიფო. მისი კანონიერი მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა ყველა პირისთვის.

არავის არ აქვს უფლება, ჩაერიოს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურებრივ საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურისათვის ხელისშეშლა, მისი პატივისა და ღირსების შელახვა, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა, მის მიმართ მუქარა, ძალადობა ან მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების ხელყოფა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურად შეიძლება დაინიშნოს ნასამართლობის არმქონე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 20 წლის ასაკიდან, თუ იგი ფლობს სახელმწიფო ენას, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად აქვს შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და გავლილი აქვს შესაბამისი მანდატურის მოსამზადებელი კურსები. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილ, საგანგებოდ მათთვის გამოყოფილ ოთახებში განთავსდებიან და ვიდეო-კამერებით აკონტროლებენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრს, სამსახურებრივი მოვალეობის შერულებისას ატარებენ სპეციალურ ფორმას და აღჭურვილი არიან თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ უსაფრთხო სკოლის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მანდატურების პროექტის მიზანია სწავლის პერიოდში მშობლებს შვილების უსაფრთხოების სრული გარანტია ჰქონდეთ. 2010 წლის 15 აპრილიდან, მანდატურები თბილისის 7 საპილოტე საჯარო სკოლაში შევიდნენ და თავიანთი მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ. ეს სკოლებია: 1-ლი ექსპერიმენტული, მე-11, 23-ე, 24-ე, 51-ე, 52-ე, 117-ე. ეტაპობრივად მანდატურის სამსახურის ინსტიტუტი ამოქმედდა საქართველოს ყველა ქალაქის საჯარო სკოლაში. მანდატურების მოსვლამ საჯარო სკოლებში ძალადობის და დისციპლინარული დარღვევით ფაქტები მნიშვნელოვნად შეამცირა.

მანდატურთა სამკაციანი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც ერთი ქალბატონია, უსაფრთხო სკოლის პროგრამის ფარგლებში გადამზადდნენ და სრულად ფლობენ იმ უნარ-ჩვევებს, რაც დაეხმარებათ სკოლაში კონფლიქტების, დანაშაულის პრევენცია და ბავშვებისთვის ყველა სახის დახმარების გაწევა უზრუნველყონ. მათ სადამსჯელო ღონისძიებების განახორციელება ეკრძალებათ და ვალდებულნი არიან მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე იზრუნონ. მანდატურები საინფორმაციო ტექნელოგიებით აღჭურვილ, საგანგებოდ მათთვის გამოყოფილ ოთახებში განთავსდნენ, აქვთ სპეციალური ფორმა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები.

2011 წელს მანდატურები თბილისის, რუსთავის, გორის, ყვარელის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის და ბათუმის საჯარო სკოლებში შევიდნენ, ასევე კერძო სკოლებსა და სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯებში.

2. სკოლების დაყოფა სამი სასწავლო საფეხურის მიხედვით - უსაფრთხო სკოლის კონცეფციის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის მიხედვით I საფეხურის სკოლებში მხოლოდ I-VI კლასის მოსწავლეები ისწავლიან, II საფეხურის სკოლებში მხოლოდ VII-IX კლასის მოსწავლეები, ხოლო III საფეხურის სკოლებში მხოლოდ X–XII კლასის მოსწავლეები. საქართველოში სკოლა დაყოფილია დაწყებით, საშუალო და საბაზისო საფეხურებად, მაგრამ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები ერთ შენობაში

აგრძელებენ სიარულს, ახალი ინიციატივა კი მათი სასწავლო სივრცეების განცალკევებას და სხვადასხვა შენობებში სწავლას გულისხმობს. სკოლებში ძალიან ხშირია უფროსკლასელების მხრიდან დაწყებითი კლასების მოსწავლეების მიმართ დაცინვის, შეურაცხყოფისა და ძალადობის ფაქტები. უსაფრთხო სკოლის კონცეფციის მიხედვით კი სკოლების ასაკობრივი ნიშნით დაყოფა სკოლაში უმცროსთა ჩაგვრასა და მათ ზემავნე ზეგავლენას გამორიცხავს, სასწავლო სივრცის დაყოფა გაზრდის ადმინისტრაციის ეფექტურობასაც და შედარებით მცირე ჯგუფზე კონტროლის მეტი შესაძლებლობა შეიქმნება.

სკოლების ასაკობრივი დაყოფა დასავლეთის ბევრ განვითარებულ სახელმწიფოში (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, აშშ) უკვე ათწლეულებია არსებობს, საქართველოში კი ჯერჯერობით მხოლოდ დაგეგმვის სტადიაზეა და უახლოეს მომავალში ამოქმედდება.

3. ვიდეოთვალის მეშვეობით სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხო ზონების შექმნა -კონტროლის კიდევ ერთი ახალი მექანიზმია, რომელიც მანდატურებს მოსწავლეთა გაკონტროლებაში და სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვნად დაეხმარება. სკოლაში დამონტაჟებული ვიდეოთვალების სისტემა, მანდატურებისა და დირექტორის კომპიუტერზეა მიერთებული და დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სკოლების შიდა და გარე პერიმეტრის მუდმივი კონტროლი ხორციელდება.

4. მოსწავლეებისთვის საკრედიტო საბარათე სისტემის შემოღება და მისი მიბმა პორტალზე - უსაფრთხო სკოლის კონცეფციის ნაწილია, რომელიც რამდენიმე საპილოტე სკოლაშია ამოქმედებული. ახალი ინიციატივა გულისხმობს სკოლებში (სკოლის სასადილოებში) ფულით ვაჭრობის აკრძალვას, მოსწავლეებს მხოლოდ საკრედიტო ბარათების გამოყენება მოუწევთ, რაც თავის მხვრივ სკოლაში მოსწავლეთა შორის ფულის გამოძალვის ფაქტებს და ზოგადად ფულთან დაკავშირებულ სხვა გაუგებრობებს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

5. მოსწავლეთა ცნობიერების ასამაღლებლად პროკურატურის, პოლიციისა და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლების მიერ ადამიანის უფლებებსა და სხვა სამართლებრივ საკითხებზე შეხვედრების ორგანიზება - უსაფრთხო სკოლის რეფორმა გულისხმობს სკოლებში არა მხოლოდ გარკვეული კონტროლის მექანიზმების დამკვიდრებას, არამედ თავად მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას ადამიანის უფლებებზე და სხვა სამართლებრივ საკითხებზე, რადგან სწორედ მოსწავლეთა მაღალი მართლშეგნების დონის მიღწევის შემთხვევაში არის შესაძლებელი უსაფრთხო სკოლის რეფორმის წარმატებით განხორციელება. ადამიანის ძირითადი უფლებებისა და მათი პრაქტიკული რეალიზაციის საშუალებების შესახებ მოსწავლეები სათანადოდ ინფორმირებულები უნდა იყვნენ, იურიდიული განათლება სამოქალაქო განათლების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. პროკურატურის, პოლიციისა და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრების ორგანიზება და მათი პრაქტიკული საქმიანობის გაცნობა კი მოსწავლეთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებისათვის საუკეთესო საშუალებაა.

www. http://mandaturi.gov.ge

http://www.facebook.com - სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

"სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდის" ფინანსური მხარდაჭერით

With Financial Support of the Civil Institutionalizm Development Fund

"პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრება ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორს, რომელიც შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ფონდის პოზიციას".